5. დათუნას ეკლესია დაღესტანში - „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1993, №1, გვ. 41;
6. თბილისის I საშუალო სკოლის რესტავრაციის შესახებ, „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1994, №1, გვ. 54;

7. ხელის გამოსახულებიანი სტელა გომარეთიდან, „ძველის მეგობარი“, თბ., 1994, №1, გვ. 63;
8. სოფ. რუისის წმ. დემეტრეს ეკლესია – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო შრომების წელიწადეული, № I, 1995;
9. ვეჯინის სამონასტრო კომპლექსი – ძეგლთა დაცვის სამეცნიერო შრომების წელიწადეული, № II, 1996, გვ. 26;
10. ქვემო ქართლის, XII-XIII სს. დარბაზულ ეკლესიათა ზოგიერთ ნიშანთვისებათა შესახებ – ძეგლთა დაცვის სამეცნიერო შრომების წელიწადეული, № III, 1998;
11. ექსპედიცია ქვემო ქართლში – „არტანუჯი“, თბ., №8/9, 1999წ;
12. ახლად აღმოჩენილი ეკლესია სოფ. განთიადთან – ძეგლთა დაცვის სამეცნიერო შრომების წელიწადეული № IV-V, 2001, გვ. 58;
13. „სახლი თბილისის ანჩისხატის უბანში (შავთელის ქუჩაზე)“, (თანაავტორი) – თბ., 2006;
14. ისტორიულ-არქიტექტურული პოტენციალის განსაზღვრა შემეცნებითი და გეო-ტურიზმის მიზნებისათვის (თანაავტორი) – „საქართველოს გეოგრაფია“, 2008, 6/7, გვ. 105;
15. „სამთავრო – წმინდა ნინოს დედათა მონასტერი“, თბ., 2008;
16. ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები ბაგრატის ტაძრის სრული აღდგენის პროექტთან დაკავშირებით – „ძველი ხელოვნება დღეს“, თბ., 2010, 01, გვ. 94;
17. ნეკრესის მონასტრის ე.წ. „საფლავს ზედა ეკლესიის“ რეაბილიტაციის შესახებ (თანაავტორი) – „ძველი ხელოვნება დღეს“, თბ., 2010, 01, გვ. 31;
18. ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან (თანაავტორი) – თბ. 2012.
19. თბილისის ურბანული განვითარება დაარსებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე, ისტორიული თბილისი კულტურული ასპექტები, მოხსენებათა კრებული, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2013.
20. „აწყურის ტაძარი“, ახალციხის ეპარქიის ძეგლების კრებული. თბ., 2013.

2014წ. სტამბაში გამოსაცემად ჩაშვებული სტატიები და ნაშრომები:

1. თბილისის XIX ს-ის ეკლესიები, არქიტექტურა და იდენტობა (თანაავტორი) – თბ. 2014წ.

კონფერენციები:

- 1997 – მონაწილეობა საერთაშორისო სასწავლო კურსი „ხალხური ხუროთმოძღვრების მნიშვნელობა და მისი დაცვის პრობლემები“;
- 2001 – მონაწილეობა საერთაშორისო სასწავლო კურსი „საერთაშორისო პროექტებისა და გრანტების მომზადება“;
- 2002 – მონაწილეობა რესტავრაციის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში, თბილისი;

მონაწილეობა პროექტებში:

- 1994 – 1996 მონაწილეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნაში;
- 1997 – პროექტის ავტორი და დირექტორი – „ქვემო ქართლის უცნობი ხუროთმოძღვრული ძეგლების გამოვლენა“;
- 1998 – მონაწილეობა პროექტში – „თელავის ურბანული მემკვიდრეობის აღრიცხვა და სააღრიცხვო ბარათების შედგენა“;
- 1999 – პროექტის ავტორი, – „ქვემო ქართლის მეგალითური ძეგლების გამოვლენა“;
- 2004 – მონაწილეობა პროექტში „გარე ავლაბრის ურბანული მემკვიდრეობის კვლევა“;
- 2005-2006წწ. – მონაწილეობა პროექტში თბილისის ისტორიული ნაწილის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია“;
- 2006წ – პროექტის ავტორი – „ქ. თელავის და ქ. სიღნაღის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა“;
- 2006წ. – პროექტის ავტორი – „ქ. თბილისის არქივებში არსებული ისტორიული დოკუმენტაციის მოძიება და ციფრული დამუშავება“;
- 2006წ. – პროექტის ავტორი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლ(ებ)ზე მუდმივად განახლებადი კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა“;
- 2007წ. – პროექტის ხელმძღვანელი. „ დიდი ღიახვის მუზეუმ ნაკრძალის გზამკვლევი, ბუკლეტის მომზადება გამოსაცემად (დიდი ღიახვის ხეობის ძეგლები)“;
- 2008წ. – პროექტის ხელმძღვანელი. ცხინვალის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხის დამუშავება. ვებ-გვერდზე განთავსდა რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხა და 34 მნიშვნელოვანი ძეგლის ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ფოტოილუსტრაციებით;
- 2008წ. – მონაწილეობა პროექტში. „ისტორიული პროვინცია თორის (ბორჯომის რ-ნი) უძრავი ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია“;
- 2008წ. – პროექტის ხელმძღვანელი. „2009წლის კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო ობიექტების ნუსხის და კვლევის აქტების შედგენა“;
- 2010წ. – მონაწილეობა პროექტში. „ნაშრომის მომზადება საპუბლიკაციოდ“ (ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, დმანისის რ-ნი)“;

პედაგოგიური მოღვაწეობა:

1996 – 2007წწ – საბუნებისმეტყველო ლიცეუმის ისტორიისა და ხელოვნების ისტორიის პედაგოგი;

2002-05წწ – თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის დიპლომანტების კონსულტანტი.

2010-12 წწ. – პროფესორის ასისტენტი – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტურის კურსის ფარგლებში;

ა). მონაწილეობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით სამეცნიერო კვლევაში და პოპულარიზაციაში.

- ჩატარებული მაქვს 400-ზე მეტი საკულტო და საერო არქიტექტურული ძეგლის ისტორიულ-არქიტექტურული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, რისი მთავარი დანიშნულება იყო ნაგებობათა რესტავრაცია და ახალშენებლობა;

- სისტემატურად ვაქვეყნებდი სამეცნიერო-პოპულარულ სტატიებს ჟურნალ-გაზეთებში. მქონდა გადაცემათა ციკლი საქართველოს რადიოში, რაც ემსახურებოდა ხუროთმოძღვრული ძეგლების პოპულარიზაციას.

ბ). კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის და დოკუმენტაციის შეგროვება.

- მოპოვებული მაქვს ინფორმაცია და დოკუმენტური მასალა რამდენიმე ასეული ხუროთმოძღვრული ძეგლის შესახებ, საქართველოს სხვადასხვა არქივებსა და წიგნთსაცავებში;

- შედგენილი მაქვს რამდენიმე ასეული ხუროთმოძღვრული ძეგლის დაცვითი ზონა.

- ემონაწილეობდი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნაში და შედგენილი მაქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა სია;

გ). კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგიის კვლევა და პრაქტიკაში დანერგვა.

- 2005 წელს ემონაწილეობდი არქიტექტურულ ნაგებობათა ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის და ქალაქების ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შედგენის ინსტრუქციის პროექტის შემუშავებაში და ვიყავი ამ პროექტის კონსულტანტი.

- მონაწილეობა მაქვს მიღებული ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვითი ზონების შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავებაში.

დ). კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ფიქსაცია.

- მონაწილეობა მაქვს მიღებული რამდენიმე ათეული სუროთმოდერული ძეგლის აზომვაში და შესრულებული მაქვს, რამდენიმე ათეული პასპორტი და რამდენიმე ასეული სააღრიცხვო ბარათი;

ე). კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სპეციალისტთა მომზადებაში მონაწილეობის მიღება.

- მონაწილეობა მაქვს მიღებული თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკაში და ვიყავი დიპლომანტების კონსულტანტი და რეცენზენტი.

20. 12. 2014წ.

CURRICULUM VITAE

თამარ მელივა

პირადი ინფორმაცია

დაბადების თარიღი 12.05.1990
მისამართი ხელოვანთა ქ. #4, თბილისი
E-mail tamarameliva@gmail.com
Tel. + (995 99) 12 33 14

განათლება

თარიღი 2014წ.

სასწავლო დაწესებულება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ფაკულტეტი რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია -
კონსერვაციის სპეციალობა

ხარისხი მაგისტრი

თარიღი 2012წ. – 2013წ.

სასწავლო დაწესებულება ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი
ფაკულტეტი არქიტექტურის ფაკულტეტი – Architecture Heritage
Preservation and Enhancement

საფეხური მაგისტრატურა

თარიღი 2011წ.

სასწავლო დაწესებულება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ფაკულტეტი რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-
კონსერვაციის სპეციალობა

ხარისხი ბაკალავრი

თარიღი მარტი – ივნისი, 2011წ

სასწავლო დაწესებულება რომის სახელმწიფო უნივერსიტეტი "La Sapienza"
ფაკულტეტი prima facolta' di Architettura Ludovico Quaroni,
საფეხური არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაცია,
ბაკალავრიატი, თავისუფალი მსმენელი (იტალიის საეგარეო
საქმეთა სამინისტროს სტიპენდია)

სამუშაო გამოცდილება

2013 - დღემდე	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ტიუტორი - რესტავრაციის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი
თებერვალი 2014 - დღემდე	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ისტორიული შენობის რეაბილიტაციის პროექტი საპროექტო ჯგუფის წევრი
2014	ბაგინეთი + სოფელ ქვიშხეთში მდებარე დიმიტრი ყიფიანის სახლ- მუზეუმი - რეაბილიტაციის პროექტი არქიტექტორ-რესტავრატორი
2013	საქართველოს მემკვიდრეობა სოფელ მადრაანის წამებულის ეკლესია - რეაბილიტაციის პროექტი არქიტექტორ-რესტავრატორის ასისტენტი
2013	საქართველოს მემკვიდრეობა ნ. ნიკოლაძის სახელობის კომპი ქ. ფოთი - რეაბილიტაცია- ადაპტაციის პროექტი არქიტექტორ-რესტავრატორის ასისტენტი
2012	ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი თბილისის მეტეხის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ლონისპიეზების ფარგლებში მდგომარეობის წინასწარი კვლევა, დაზიანებათა სქემების შედგენა კვლევითი ჯგუფის წევრი
2012	ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი ატენის სიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების ლონისპიეზების ფარგლებში ტაძრის სამშენებლო მასალის მდგომარეობის შეფასება და ლაბორატორიული კვლევა კვლევითი ჯგუფის წევრი
2011	საქართველოს მემკვიდრეობა ტვიზის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია - რეაბილიტაციის პროექტი არქიტექტორ-რესტავრატორის ასისტენტი

ენების ცოდნა

ქართული
ინგლისური
იტალიური
რუსული

მშობლიური
თავისუფლად
კარგად (B2)
საშუალოდ

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD
ArchiCAD
Photoshop
Microsoft Office

დამატებითი ინფორმაცია

- | | |
|------|---|
| 2014 | პროექტების მენეჯერი, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის სერტიფიკატი |
| 2014 | ტრენინგი: „რესტავრაციისა და კონსერვაციის შეფასება მონიტორინგი“ , თარგმნა, მონაწილე |
| 2013 | ბლოგერი: ICCROM Forum Conservation Science
http://forum2013.iccrom.org/post-soviet-problem-management-conservation/ |
| 2010 | კონფერენცია - უორეშოვი “Old Tbilisi Identity and spirit” |

CURRICULUM VITAE

გიორგი ტრაპაიძე

პირადი ინფორმაცია

დაბადების თარიღი	08.05.1992
მისამართი	ბ. ცინცაძის ქ. №30ა, III ს. ბ.№52, თბილისის, საქართველო
E-mail	giorgi.trapaidze@yahoo.com
ტელეფონი	+(995 68) 320 530

განათლება

თარიღი	2010წ. - დღემდე
სახწავლო დაწესებულება ფაკულტეტი	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია- კონსერვაციის სპეციალობა
საფეხური	ბაკალავრიატი
თარიღი	1998წ. – 2010წ.
სახწავლო დაწესებულება	№1 ექსპერიმენტალური სკოლა

სამუშაო გამოცდილება

2011	საქართველოს მემკვიდრეობა, ონის მუნიციპალიტეტის სოფ. დუბის დუროიანი სახლის რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)
2011	საქართველოს მემკვიდრეობა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის თუშმალიშვილების საგვარეულო კოშკის რეაბილიტაციის პროექტი. (არქ- რესტავრატორი)
2011	საქართველოს მემკვიდრეობა, დუშეთის მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სასამართლოს რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)
2012	ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღონისძიებების ფარგლებში ტაძრის სამშენებლო მასალის მდგომარეობის შეფასება და ლაბორატორიული კვლევა კვლევითი ჯგუფის წევრი
2012	საქართველოს მემკვიდრეობა, ასპინძის მუნიციპალიტეტის ვანის ქვაბების გუმბათიანი კვლევითი რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)

2012	საქართველოს მემკვიდრეობა. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარშას კვლესიის რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)
2012	საქართველოს მემკვიდრეობა. ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაზღვრა, ფინანსური ხარჯთაღრიცხვა.
2012	საქართველოს მემკვიდრეობა. გელათის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო პროექტის კორექტირება.
2012	თბილისის მეტეხის ტაძრის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ფარგლებში მასალის მდგომარეობის შეფასება და ლაბორატორიული კვლევა, კვლევითი ჯგუფის წევრი.
	ბაგინეთი +
2014	სოფელ ქვიშეთში მდებარე დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი - რეაბილიტაციის პროექტი არქიტექტორ-რესტავრატორის ასისტენტი
	საქართველოს მემკვიდრეობა
2013	ნ. ნიკოლაძის სახელობის კომპი ქ. ფოთი - რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროექტი არქიტექტორ-რესტავრატორის ასისტენტი

ენების ცოდნა

ქართული
ინგლისური
რუსული

მშობლიური
თავისუფლად
საშუალოდ

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Windows (xp, vista, 7)

Linux

Microsoft Office

PHP (Web programing)

HTML(Web design and programing)

Web Server Management

AutoCAD

Photoshop

Adobe Dreamweaver

სადემონსტრაციო მასალა

მეგლისფოტოფიქსაცია



ფოტოფიქსაცია



სურ. 1 ფასადი ჩუბინაშვილი ქუჩის მხრიდან



სურ.2 ფასადი ჩუბინაშვილი ქუჩის მხრიდან



სურ. 3 ფასადის ფრაგმენტი



სურ. 4 ფასადის ვიტრაჟი



სურ. 5 ფასადის ვიტრაჟი



სურ. 6 ფასადის ფრაგმენტი



სურ. 7 ფასადის დაზიანებული ფრაგმენტი



სურ. 8 ფასადის ფრაგმენტი



სურ. 9 ფასადის ფრაგმენტი



სურ. 10 შესასვლელი კარი



სურ. 11 ფასადი ეზოს მხრიდან



სურ. 12 მინამენი



სურ. 13 ფასადი ეზოს მხრიდან



სურ. 14 ფასადი ეზოს მხრიდან



სურ. 15 ინტერიერი



სურ. 16 ინტერიერის დეტალი



სურ. 17 ინტერიერი, სადგევამ დარბაზი




სურ. 18 დარბაზის დეტალი



სურ. 19 სადგევავო დარბაზი



სურ. 20 ჰერის ფრაგმენტი



სურ. 21 კიბის ფრაგმენტი



სურ. 22 იატაკის ფრაგმენტი



სურ. 23 ინტერიერი, დაზარალებული მზიდი კედელი



სურ. 24 დაზიანებული იატაკი



სურ. 25 სხვენის კონსტრუქცია



სურ. 26 სარდაფი

მოსაზრებები სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიისა
და ტექნოლოგიის განსასაზღვრად



წინასწარი რეკომენდაციები ნაგებობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით

საბალეტო სტუდიის სამსართულიანი სახლი XX ს-ის შუა წლების თბილისის საზოგადოებრივი შენობის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. აგურით აგებული მართკუთხა გვეგმარების შენობა გრძივი ფასადით გამოდის ქუჩის პერიმეტრზე. ეს არის კვლევითი ფასადის მქონე შენობა სადაც გამოყენებულია პოსტკონსტრუქციის ტული და „სტალინური არქიტექტურის“ ელემენტების სტილისტური ნაზავი. იგი საინტერესოა ინტერიერის მხატვრული გაფორმებითაც.

XX ს-ის შუა პერიოდში აგებული სახლი საკმაოდ დაზიანებულია. ფასადზე აქვს ბზარები და ნაპრალები. დაზიანებულია საფასადო ნაღესი კვეთილი შემკულობაც. ეზოს ფასადი სახეცვლილია სხვადასხვა ფორმისა და სახის შემინვით. გადაკეთებულია I სართულის დიორებიც.

შემორჩენილი კონსტრუქციული და მხატვრული დეტალებით შესაძლებელი ჩანს, როგორც ქუჩის ასევე ეზოს ფასადების და ინტერიერის თავდაპირველი მოცულობითი სტრუქტურის და მხატვრული სახის დადგენა. იგივე საკითხის გადაწყვეტაში დაგვეხმარება ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალა. მოსაძიებელია თავდაპირველი მშენებლობის პროექტი. ასევე ჩასატარებელია მსგავსი ტიპის ნაგებობების ანალიზი, მათი როგორც ანალოგიების მოშველიების თვალსაზრისით.

უოველივე აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სრულყოფილი ფიქსაციისა და არქიტექტურული კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება ნაგებობის თავდაპირველი სახის (არქიტექტურული სტრუქტურის, ნაღესი ფორმების, ფერის) სრული აღდგენა.

ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია რომლის სტატუსი ითვალისწინებს რესტავრაციას. ამიტომ, აქ თუ ადაპტაცია და სახეცვლილება იქნება განსაზღვრული, ეს ქმედება ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. აქ შემორჩენილია XX ს-ის სამშენებლო ხელოვნებისა და მხატვრული გაფორმების სხვადასხვა ხერხი და ნიმუში, რისი დაცვაც აუცილებელია როგორც ფასადებზე ასევე ინტერიერშიც.

ადაპტაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროექტირებისას გაანალიზებული იქნება ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული სახე და ახალი მოცულობა შექმნის თავდაპირველი კომპოზიციის ადეკვატური არქიტექტურული სტილის მქონე სტრუქტურას.

ამგვარად, აქ მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ ადაპტირებული ფორმების სტილისტური და მხატვრული თავსებადობა არქიტექტურული ძეგლის

თავდაპირველ სახესთან და გარანტირებული იყოს სამუშაოს შესრულების ხარისხი.

საინჟინრო-გეოლოგიური მდგომარეობის შეფასება

ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩაზე №49-ში მდებარე ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის შენობის დაფუძნებისა და განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების, წინასწარი კვლევითი სამუშაოები მოიცავდა: საფონდო მასალების მოძიებას, ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიურ რეკონოსცირებას, შენობისა და სარდაფის ვიზუალურ დათვარიელებას, რომელთა შედეგების კამერალური დამუშავების საფუძველზე შედგა წინამდებარე დასკვნა.

1. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

დასკვნის შედგენისას, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, გამოყენებულ იქნა ადრე ჩატარებული გეოლოგიური კვლევების და ფონდური მასალები.

რაიონის კლიმატი ზომიერად კონტინენტურია და ხასიათდება მშრალი, ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით.

საშუალოწლიური ტემპერატურაა $+12.3^{\circ}\text{C}$, საშუალო მინიმალური თვიური ტემპერატურა დაიკვირვაბა იანვრში -0.4°C , ხოლო საშუალო მაქსიმალური აგვისტოში $+24.1^{\circ}\text{C}$, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა დაიკვირვება იანვარში -23°C , მაქსიმალური ივლის-აგვისტოში $+40^{\circ}\text{C}$.

ძირითადად გაბატონებულია ჩრდილოეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ქარი. სხვადასხვა სიჩქარის ქარის განმეორადობის აღბათობა შემდეგია:

- 22 მ/წმ – 1 წლის განმავლობაში
- 27 მ/წმ – 5 წლის განმავლობაში
- 29 მ/წმ – 10 წლის განმავლობაში
- 30 მ/წმ – 15 წლის განმავლობაში
- 32 მ/წმ – 20 წლის განმავლობაში

პაერის ფარდობითი საშუალოწლიური ტენიანობა 76 %-ია.

თოვლის საფარი ატარებს პერიოდულ ხასიათს და მისი საშუალო სისქე 0.1 მ-ია, ხოლო მაქსიმალური 0.3 მ-

გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს, მდ. მტკვრის მეორე ჭაღისზედა ტერასას.

ტექტონიკური თვალსაზრისით, პ. გამყრელიძის საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, სამხრეთ ქვეზონას.

გეოლოგიურად წარმოდგენილია ზედა ეოცენური ასაკის მოყავისფრო-რუხი თიხოვანი ქვიშაქვებითა და მოშავო-მონაცრისფრო არგილიტებით.

საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების რუქის მიხედვით, განსახილველი ტერიტორია, განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ოლქის, პალეოგენ-ნეოგენის ქვიშაქვოვან-სუბარგილიტური და პიროკლასტური, ნახევრადკლდოვანი და კლდოვანი ქანების რაიონის, მანგლისი-თბილისის ქვერაიონში.

2.საკვლევი შენობის და მისი განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

საბალეტო სასწავლებელი, წარმოადგენს სამსართულიან აგურით ნაშენ შნობას, გრუნტში 2.5 მეტრამდე ჩაღრმავებული სარდაფით. წინასწარი მონაცემებით საძირკველი ღუნტურია, სავარაუდოდ ყორექვის წყობის, შენობის ფასადი ნუბინაშვილის ქუჩის მხრიდან შეღესილია. ვიზუალურად ადვილად ფიქსირდება ნაგებობის ფასადის ცენტრალურ ნაწილში, მრავლობითი სხვადასხვა მიმართულების (ძირითადა ვერტიკალური) ბზარები, რომლებიც გრძელდება სარდაფის კედლებზეც. ბზარების ხასიათი აშკარად მეტყველებს შენობის წინა ნაწილში განვითარებულ ჯდენით პროცესებზე, რომლებიც მრავლადაა განვითარებული, როგორც საკვლევი, ასევე მიმდებარე ტერიტორიებზე აგებულ შენობათა უმრავლესობაზე

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ჩუღურეთში. აღნიშნული რაიონი აგებულია თანამედროვე ალუვიური-დელუვიური წარმონაქმნებით: თიხნარები კენჭნარების შუაშრეებითა და კენჭების ჩანართებით.

აღნიშნული გრუნტები გიორგი ჯაფარიძის მონოგრაფიაში თბილისის საინჟინრო გეოლოგია (Инженерная геология Тбилиси) მიეკუთვნება განსაკუთრებული თვისებების გრუნტებს - მაკროფორიანი, ლიოსის მაგვარი და ძლიერ გათაბაშირებული, მეოთხეული პროლუვიურ-დელუვიურ ნალექებს.

აღნიშნული ნალექები მრავალ ადგილას გადაფარულია განსაკუთრებული თვისებების გრუნტების მეორე ჯგუფის - ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტებით.

მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად აღნიშნული გრუნტებისათვის დაიკვირვება შემდეგი კანონზომიერება:

1. ლიოსის მაგვარი ნალექები განვითარებულია ძირითადად სუსტად და საშუალოდ დამრეც სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობზე;
2. ნალექების საგებს წარმოადგენს მაღალი ფილტრაციის კოეფიციენტის მქონე ალუვიური ან ფხვიერი ნალექები;
3. ნალექები გაჯერებულია კარბონატული და სულფატური მარილებით;
4. უშუალოდ კლდოვან ქნებზე განლაგებული ნალექები არ არიან ლიოსის მაგვარი, თუმცა ხასიათდებიან მაკროფორიანობით.

აღნიშნული კანონზომიერებები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობზე განლაგებული თიხნარი ნალექები უფრო ექვემდებარება მზის ენერჯიის ზემოქმედებას.

ალუვიური ფხვიერი ნალექები ქმნიან ბუნებრივ დრენაჟის საგებს, რაც არ იძლევა მათი პერიოდული დასველების საშუალებას. ამიტომ დიაგნოზის პროცესი მიმდინარეობს მშრალი რეჟიმის პირობაში, მასში არსებული კარბონატული და სულფატური მარილები არ გამოირეცხება და ფორმირდება შრე, რომლისთვისაც წყალი წარმოდგენს უჩვეულო გარემოს.

გახშირებული ატმოსფერული ნალექებისა და კომუნიკაციების გაუმართაობა ხშირედ გვევლინება ღიოსისმაგვარ ნალექებში წონასწორობის დარღვევის გამომწვევ მიზეზად, კერძოდ ხდება მარილების გამორეცხვა, რაც იწვევს გრუნტის ჯდენას და შესაბამისად შენობების ძლიერ დეფორმაციებს.

3. წინასწარი დასკვნები და რეკომენდაციები

1. გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს, მდ. მტკვრის მეორე ჭაღისხედა ტერასას.
2. ტექტონიკური თვალსაზრისით, პ. გამყრელიძის საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, სამხრეთ ქვეზონას.
3. საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების რუკის მიხედვით, განსახილველი ტერიტორია, განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ოლქის, პალეოგენ-ნეოგენის ქვიშაქოვან-სუბარგილიტური და პიროკლასტური, ნახევრადკლდოვანი და კლდოვანი ქანების რაიონის, მანგლისი-თბილისის ქვერაიონში.
4. საბალეტო სასწავლებელი, წარმოადგენს სამხართულიან აგურით ნაშენ შნობას, გრუნტში 2.5 მეტრამდე ჩაღრმავებული სარდაფით. წინასწარი მონაცემებით საძირკველი ლენტურია, სავარაუდოდ ყორექვის წყობის.
5. შელესილი ფასადი ჩუბინაშვილის ქუჩის მხრიდან ცენტრალურ ნაწილში, ძლიერ დაბზარულია, რომელთა განვითარება სავარაუდოდ, ჯდენით პროცესებზე მეტყველებს.
6. შენობის დაფუძნების პირობების, გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების და მათში მიმდინარე პროცესების, გრუნტის წყლის დონეების, სრულყოფილი შესწავლის მიზნით, რის საფუძველზეც უნდა შედგეს დაზუსტებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, მიზანშეწონილად მიგვანჩია შენობის პერიმეტრზე შერჩეულ იქნას რამდენიმე ადგილი სამთო-გაყვანითი სამუშაოები, ლაბორატორიული კვლევებისთვის, გრუნტის ნიმუშების და წყლის სინჯების ასაღებად.

შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება

შენობის კონსტრუქცია: ნაგებობის საძირკვლები ლენტური ტიპისაა. შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოადგენს გრძივი და განივი აგურის მზიდი კედლების(სისქე 60-80სმ) ერთობილობას. სართულშუა გადახურვები ძირითადად ხის კოჭებზეა მოწყობილი, თუმცა ალაგ-ალაგ ჩანს რკინაბეტონის მონოლითური ჩანართებით. სხვენი და სასხვენო გადახურვებიც ასევე ხის კოჭებითაა კონსტრუირებული. შენობის გარკვეულ მონაკვეთებზე მოწყობილია რკინაბეტონის მონოლითური ჩარჩოვანი ჩანართები.

შენობის კონსტრუქციული

დაზიანებები:ვიზუალური შემოწმებით

დადგინდა, რომ საძირკვლების არათანაბარი

ჯდენითი დეფორმაციების გამო, შენობის

მზიდ კონსტრუქციებში წარმოქმნილია

ბზარები, რომელიც ძირითადად

კონცენტრირებულია შენობის ცენტრალური

შესასვლელისა და ჩუბინაშვილის ქუჩაზე

გამავალი ფასადის მარცხენა ნაწილის მზიდ

კედელში. აქ მათი გახსნილობა 3 - 10

სანტიმეტრის ფარგლებშია. ბზარების

კონფიგურაცია ძირითადად ვერტიკალურია, თუმცა

შეინიშნება დახრილი ხასიათის

ბზარებიც, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ

აღნიშნულ უბანში ჯდენითი პროცესები

ინტენსიურია. გარდა ზემო აღნიშნულისა, ბზარები

განვითარებულია შენობის

მზიდი კედლების უმეტეს ნაწილში. მათ

გახსნილობა აქ შედარებით მცირე

მასშტაბისაა. ასევე, მნიშვნელოვანია ის

ფაქტორიც, რომ დარღვეულია გრძივი და

განივი კედლების გადაბმის მთლიანობა

და ვერტიკალებში წარმოქმნილია

სხვადასხვა გახსნილობის ბზარები. ფასადისა

და მარცხენა ტორსული კედლის

მიმართულებით დახრილია და დეფორმირებულია

შენობის სართულშუა და

სასხვენო გადახურვების გარკვეული ნაწილი.



აუცილებელია აღინიშნოს, რომ შენობის

კონსტრუქციული გამაგრებისთვის საჭირო

გარკვეული სამუშაოები ჩატარებულია: ღიობების

ნაწილის მოჩარჩოებები და კედლების

მოცულობითი მოჭიმვები. ამ ეტაპზე ჩვენთვის

უცნობია ჩაუტარდა თუ არა შენობის საძირკვლებს

კონსტრუქციული გამაგრებითი სამუშაოები, თუმცა გარკვეულ სეგმენტებში ზეპირკვლის დონეზე იკითხება არსებულ კედლებთან შეუღლებული კონსტრუქციული ელემენტი.

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისათვის საჭირო სამუშაოთა ეტაპები:

I ეტაპი: აუცილებელია შენობის დასაძირკვლებისა და საინჟინრო გეოლოგიური პირობების დადგენა (კვლევა: შურფირება, საძირკვლის ტიპის დადგენა, საინჟინრო გეოლოგიური ელემენტების ნიმუშების აღება და ანალიზი). დეტალური კონსტრუქციული ტექნიკური გამოკვლევა (ზონდირება, შენობაში გამოყენებული მასალების ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლების განსაზღვრა, დეფორმაციული სურათის შედგენა ანაზომების და დეფორმაციულ უბნებზე ბზარების დატანის სახით, ბზარების ციფრული ენდოსკოპიური დათვალიერება მათი გამჭოლობისა და სიღრმის დადგენის მიზნით.)

II ეტაპი: აუცილებელია მიღებული შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ ტექნიკურ საბჭოზე წარდგენა.

III ეტაპი: შეჯერებული დასახული ღონისძიებების საფუძველზე კონსტრუქციული გაძლიერების მუშა დოკუმენტაციის შედგენა.

წინასწარი რეკომენდაციები შენობის კონსტრუქციული გაძლიერებისათვის:

- საძირკვლების გაძლიერება საყრდენი ფართის გაზრდის გზით, რაც შეიძლება განხორციელდეს კომბინირებული მეთოდით: არსებულ საძირკვლებთან გობისებული ფილის, ან რკინა-ბეტონის ლენტური საძირკვლების შეუღლების გზით.
- შენობის დეფორმირებული ღიობების გაძლიერება მოჩარჩოების გზით.
- კედლების დეფორმაციული უბნების გაძლიერება არმირებული ტორკრედ ბეტონით, ჩაანკურებისა და ინექტირების მეთოდით.
- სართულშუა, სასხვენო გადახურვებისა და სხვენის ხის მზიდი ელემენტების ნაწილობრივი გამოცვლა და გაძლიერება.

არსებული პრობლემების დეტალური აღწერა და რეკომენდაციები ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ

შენობის მძიმე ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, ძეგლის მხატვრული სახე თითქმის სრულადაა შენარჩუნებული.

ფასადებზე ჩანს ალაგ-ალაგ დაზიანებული დეკორატიული ელემენტები, რაც გამოწვეულია შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის გაუარესებითა და ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებით. კერძოდ, ჩუბინაშვილის ქუჩაზე გამავალ ფასადზე მთავარი შესასვლელის ფრიზზე ჩამოცვენილია რელიეფების ნაწილი; ასევე, პირველ სართულზე თაღების თავის ნიშნულზე მოწყობილი ჩამკეტები დაზიანებულია. ფასადის მარჯვენა და მარცხენა უკიდურეს ნაწილებში ჩამოცვენილია რუსტიკის ფრაგმენტები; ნაგებობის ფანჯრები ნაწილობრივ დეფორმირებულია, მინები დამსხვრეული. ჩუბინაშვილის ქუჩაზე გამავალ ფასადზე შემორჩენილია ავთენტური დაზიანებული ვიტრაჟი. შესასვლელი კარი შეცვლილია ლითონის კარით. არსებული კარ-ფანჯრები ნაწილობრივ შეცვლილია და მოწყობილია მეტალოპლასტმასის ფანჯრები.



ეზოში გამავალ ფასადზე გვან პერიოდში მიუშენებიათ უსახური საჩრდილობელი, რომელიც შენობის ერთიან სახესთან შეუსაბამოა. ნაგებობის ტექნიკური გამაგრების მიზნით მოწყობილია მზიდიკედლების მოცულობითი მოჭიმვა, რომლის დეტალებიც ფასადზე თვალნათლივ იკითხება. ფასადებზეა გატარებული ტექნიკური კომუნიკაციების მაგისტრალეზიც.



ბოლო სარემონტო სამუშაოების შედეგად ნაწილობრივ სახეცვლილია ნაგებობის ინტერიერი. ქერები დაფარულია თაბაშირ მუყაოს ფილებით, რომლების უკვე დეფორმირებული, დაზიანებული და ნაწილობრივ დაკარგულია.

თანადროული სართულშუა გადახურვების ზედაპირები სახეცვლილია. იატაკებზე ნაწილობრივ მოწყობილია ხის პარკეტი, რომელიც დღეის მდგომარეობით დაზიანებულია. ასევე, რაც შენობის თავდაპირველი ფუნქციიდან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია, საბალეტო აუდიტორიებში დაზიანებულია ხის სპეციალური იატაკი. კიბის უჯრედებში ავთენტური, ქვის დეკორატიული იატაკი ნაწილობრივ დაზიანებულია. ალაგ-ალაგ იკითხება შენობის თანადროული ნაღესი ჭერის ზედაპირები. ინტერიერში ნათლად იკითხება დაზიანებული ნაღესობა და საღებავი.

ნაგებობის დაზიანებების გამომწვევი ძირითადი მიზეზები არასწორი ექსპლუატაცია, ატმოსფერული ნაღესები და ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებაა(იხ კონსტრუქციული ნაწილი).

წინასწარული შეფასებით ამორტიზებულია შენობის საინჟინრო კომუნიკაციები (ელექტრო ქსელი, წყალგაყვანილობა, კანალიზაცია). არ არსებობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხოების, გათბობა-კონდიციონირების და განათების სისტემები.

წინასწარი რეკომენდაციები შენობის რეაბილიტაციისა და სწორი ფუნქციონალური ექსპლუატაციისათვის:

სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვამდე უნდა მოხდეს შენობის საფუძვლიანი კვლევა, რომლის შედეგებზე დაყრდნობით მოხდება საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება. წინასწარი შეფასებით სასურველია ძეგლის თავდაპირველი ფუნქციისა და სახის აღდგენა, მითუმეტეს რომ მისი მხატვრული სახე თითქმის სრულადაა შენარჩუნებული. საჭიროა შენობის თანამედროვე ექსპლუატაციის სტანდარტებთან მორგებადა ამასთანავე გასათვალისწინებელია მისი სპეციფიური ფუნქცია. საბალეტო სკოლისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა უნდა მოერგოს შენობის არსებულ გეგმარებას თანამედროვე მეთოდოლოგიისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

ზემოთ აღწერილი დაზიანებებისა და პრობლემების აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდგომი ღონისძიებების გატარება:

შენობის ექსტერიერი

- ფასადებზე გამავალი კონსტრუქციული ელემენტების დემონტაჟი და ახალი შენობის ტანში ჩამალული კონსტრუქციული გაბლიერებისათვის საჭირო ელემენტების მოწყობა. აქედან გამომდინარე, რეაბილიტაციის პროცესში

აუცილებელი იქნება ნაღესობისა და დეკორატიული ელემენტების ნაწილობრივი მოხსნა და ადგილზე დაბრუნება.

- დაზიანებული დეკორატიული ელემენტების აღდგენა;
- ეზოს მხარეს გვიან პერიოდში მოწყობილი უსახური საჩრდილობლის დემონტაჟი, აუცილებლობის შემთხვევაში თანამედროვე მასალების გამოყენებით უნდა მოეწყოს იგივე ფუნქციის მქონე ელემენტი;
- ფასადებზე გამავალი ტექნიკური კომუნიკაციების მაგისტრალების გადატანა (ელ. ქსელი, გაზის მილები)
- შენობის ფასადები ნაწილობრივად შელესილი და შეღებილი, ფრაგმენტულად დაზიანებულია ზემოაღნიშნული ნაღესობა და საღებავი. პროექტირების ეტაპზე უნდა მოხდეს ზონდირება და ფასადის ფერის ანალიზი. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს საფასადე ფერთა გამა.
- აგურის დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა

შენობის ინტერიერი

- შენობის საადაპტაციო გეგმის შედგენის შემდეგ, შესაძლოა საჭირო გახდეს ძველი ტიხრების დემონტაჟი და ახლის მოწყობა;
- ინტერიერში არსებული მზიდი და თვითმზიდი კედლების კონსტრუქციული გამაგრების შემდგომ ზედაპირების ნაწილობრივ გაწმენდა, შელესვა, შეღებვა;
- არსებული სართულშუა გადახურვების ზედაპირების ნაწილობრივი დემონტაჟი და ახლის მოწყობა (საბალეტო ოთახებში შესაბამისი ხის იატაკის მოწყობა მისი სპეციფიკიდან გამომდინარე);
- ავთენტური ქვის მოზაიკური იატაკის გაწმენდა და დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა.

კარ-ფანჯარა

- დაზიანებული და მეტალოპლასტმასის ფანჯრების დემონტაჟი და ახლი მუხის ხის ფანჯრების მოწყობამინაპაკეტით.
- დაზიანებული კარების დემონტაჟი და ახლის მოწყობა;
- შენობის მთავარ ფასადზე გამავალი დაზიანებული ვიტრაჟის რესტავრაცია.

წყალამრიდი სისტემა და სახურავი

- ნაგებობის სახურავის ხის კონსტრუქციების რეაბილიტაციის შემდეგ, შენობაზე უნდა მოეწყოს ახალი გადახურვა;

- ძველი და ამორტიზებული წყალამრიდი სისტემები უნდა შეიცვალოს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები და კომუნიკაციები

- უნდა შემუშავდეს ძველის ახალი გენგეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება შენობაში განთავსებული დაწესებულების საჭიროებები;
- პროექტირების ბოლო ეტაპზე შენობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს გათბობა-კონდიციონირების, უსაფრთხოების, ელექტრობის თანამედროვე სისტემები;

საკონკურსო წინადადება, საპროექტო ხარჯთაღრიცხვა და აფიდავიტი



საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების ფასი





საკონკურსო განაცხადი

ქ. თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. #49, ვ.
ჭაბუკიანის სახელობის ქალაქთბილისის #46
საჯაროსკოლის რეაბილიტაციის საპროექტო-
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს:
69767.5 ლარს

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

ვ. ჭაბუკიანის სახელობის #46 საჯარო სკოლის
რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის
შედგენის ხარჯთაღრიცხვა

N	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება
1	განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა)	1500
2	საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა	250
3	ტოპოგრაფიული გეგმა	1000
4	შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და კონსტრუქციული დეტალების (საძირკვლები, სართულშუა გადახურვები) განლაგების სქემები, ტექნიკური მდგომარეობის შეფასება, ტექსტური აღწერილობა	5000
5	საინჟინრო კომუნიკაციების არსებული ქსელის მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები	2500
6	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება)	4500
7	სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF გაფართოების ფაილი)	1000
8	სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები (ბიბლიოგრაფიული კვლევის ანალიზი, ნატურაში კვლევის ანალიზი და რეკომენდაციები, შესწავლილი ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალის ჩამონათვალი)	2000
9	არქეოლოგიური მეთვალყურეობა	1500

10	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით (კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მასშტაბში გამოხაზული ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები, ინტერიერი) _ მ. 1:50; არქიტექტურული დეტალები (ხის, ლითონის, ქვის ელემენტები), მცირე არქიტექტურული ფორმები _ მ. 1:25, 1:20, 1:10; შაბლონები _ მ. 1:1; ტექსტური აღწერილობა)	12000
11	არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); რეაბილიტაცია- რესტავრაციის პროექტი: გენერალური გეგმა _ მ. 1:200; სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), ფრაგმენტები და დეტალები მ.: -1:25, 1:20, 1:10 და 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით	5500
12	კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით	5500
13	საინჟინრო კომუნიკაციების (წყალმომარაგება- კანალიზაციის, ელ. გაყვანილობის, სუსტი დენები) მოწყობის პროექტი	5700
14	ხანძარსაწინააღმდეგო გაყვანილობის მოწყობის პროექტი	2800
15	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით	2000
16	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა	1000
	პირდაპირი ხარჯები სულ	53750.0
	ზედნადები ხარჯები 10%	5375.0
	სულ	59125.0
	დღგ 18%	10642.5
	ჯამი	69767.50

გამგეობის თავმჯდომარე



კ. ტრაპაიძე

აფიდავიტი



აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- * ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- * უფლებამოსილი ვარ კონკურსანტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- * ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;
- * ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- * მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - საკონკურსო წინადადების ფასი;
 - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
 - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;
- * საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☐ გავცეანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

Handwritten signature



სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერა კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.